აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისია

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 9

31/07/2026 **ქ. ბათუმი**

არასაარჩევნო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლების რეგისტრაციისა და პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის დამადასტურებელი მოწმობების ფორმების დადგენის შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 88-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „არასაარჩევნო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში დამკვირვებელ ორგანიზაციათა და დამკვირვებელთა რეგისტრაციის წესის განსაზღვრის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2026 წლის 24 ივლისის №5 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტისა და „არასაარჩევნო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომებზე დასწრებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომების გადაღების მიზნით პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა აკრედიტაციის წესის განსაზღვრის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2026 წლის 24 ივლისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. დადგინდეს არასაარჩევნო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში:

1. ადგილობრივი დამკვირვებლის რეგისტრაციის დამადასტურებელი მოწმობის ფორმა, თანდართული ნიმუშის შესაბამისად.
2. საერთაშორისო დამკვირვებლის რეგისტრაციის დამადასტურებელი მოწმობის ფორმა, თანდართული ნიმუშის შესაბამისად.

3. პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის დამადასტურებელი მოწმობის ფორმა, თანდართული ნიმუშის შესაბამისად.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე	პაატა კეშელავა
კომისიის მდივანი	ტარიელ გოგიტიძე